<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 166^1-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 166^2 მუხლი:

„მუხლი 166^2. საზოგადოებრივი სარგებლობისთვის განკუთვნილი ობიექტის დაზიანება ან განადგურება

1. მოედანზე, გზაზე, პარკში, სკვერში, მიწისქვეშა გადასასვლელში განთავსებული ინფრასტრუქტურის/ინვენტარის, საზოგადოებრივი სარგებლობისთვის განკუთვნილი სხვა ობიექტის, მათ შორის, საგზაო ნიშნის, შუქნიშნის, გარესამეთვალყურეო კამერის განზრახ დაზიანება ან განადგურება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განზრახ დაზიანება ან საზოგადოებრივ ტრანსპორტში არსებული ინვენტარის განზრახ დაზიანება ან განადგურება, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ამავე მუხლით განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 5 დღემდე ვადით.

შენიშვნა:

1. ეს მუხლი არ მოქმედებს, თუ ჩადენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

2. ეს მუხლი არ მოქმედებს, თუ ჩადენილია ამ კოდექსის 150-ე-150^3 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.“;

2. 209-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42^{10}, 58^3, 86^1, 107^1–107^3, 107^5, 108-ე, 114^1, 114^2 და 115^1 მუხლებით, 116-ე მუხლით (გარდა ამ კოდექსის 116-ე მუხლის მე-3, მე-5, მე-6, მე-8 და მე-9 ნაწილებისა), 116^1–116^3, 118-ე–119-ე და 120-ე–123-ე მუხლებით, 125-ე

მუხლით (გარდა ამ კოდექსის 125-ე მუხლის მე-16 ნაწილისა), 127-ე მუხლით, 127^{1} მუხლის პირველი–მე-2 და მე-6–მე-7 ნაწილებით, 128-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 129^{1} მუხლით, 131-ე მუხლით (საავტომობილო ტრანსპორტზე ჩადენილი სამართალდარღვევებისთვის), 134-ე, 135^{2}–135^{4}, 139^{5}, 152^{7} და 152^{8} მუხლებით, 153^{6} მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 155-ე, 166^{2}, 167-ე და 170-ე მუხლებით, 171-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 171^{1} მუხლით (ყველა დაწესებულების (გარდა საქართველოს თავდაცვის ძალებისა და პენიტენციური დაწესებულებისა), სატრანსპორტო საშუალების (გარდა რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტისა) მძღოლის, რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის მესაკუთრის/მფლობელის, აგრეთვე ფიზიკური პირის მიმართ (გარდა ფიზიკური პირის მიერ რკინიგზის ტრანსპორტში ჩადენილი სამართალდარღვევისა)), 174^{15} მუხლით (გარდა ამ კოდექსის 174^{15} მუხლის მე-4 ნაწილისა), 174^{16}–174^{18}, 176^{1} და 176^{3} მუხლებით, 177-ე მუხლით (გარდა ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-4, მე-5, მე-8, მე-12 და მე-13 ნაწილებისა) და 177^{15}, 181-ე, 181^{1}, 181^{3}, 182^{1}, 182^{2}, 190-ე და 190^{2}–191^{1} მუხლებით.“;

3. 239-ე მუხლის მე-13 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. ამ კოდექსის 42^{10}, 45-ე, 45^{1}, 58^{3}, 86^{1}, 100^{2}, 107-ე, 107^{5}, 114^{1}, 114^{2}, 115^{1}, 116-ე–116^{3} და 118-ე–123-ე მუხლებით, 125-ე მუხლით (გარდა ამ კოდექსის 125-ე მუხლის მე-16 ნაწილისა), 127-ე მუხლით, 127^{1} მუხლის პირველი–მე-2 და მე-6–მე-7 ნაწილებით, 134-ე, 135^{2}–135^{4}, 139^{5}, 150-ე, 152^{7}, 152^{8} და 153^{3} მუხლებით, 153^{6} მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებითა და 166-ე, 166^{2}, 167-ე, 173-ე, 173^{14}, 173^{15}, 174^{1}, 174^{15}–174^{18}, 175^{2}, 176^{1}, 176^{3}, 177-ე, 177^{1}, 177^{15}, 180-ე–183-ე, 190-ე, 190^{2}, 191-ე და 199^{1} მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანო, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე, 45^{1}, 166-ე, და 197^{2} მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**